ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია როგორც ხარისხის ისე უსაფრთხოების მაქსიმალური დონის შენარჩუნება. ამ პრინციპების დასაცავად მუდმივად ვიყენებთ საუკეთესო ხარისხის მასალას, როგორც სამშენებლო, ისე მოსაპირკეთებელი სამუშაოების პროცესში და შიდა და გარე უსაფრთხოების მასალებსა და აგრეგატებს უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით დამუშავდა გრიჰილის მეოთხე ეტაპის ობიექტი და თითქმის დასრულდა ობიექტი ექსპლუატაციაში მისაღებად.

პროექტი ითვალისწინებდა ფასადის მოპირკეთებას განსხვავებული მასალებით, მათ შორის ძირითად მოსაპირკეთებელ ფენად აგურის კლინკერის ან ანაჭერის გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთ კომპანიასთან ვაწარმოეთ მოლაპარაკება სამწუხაროდ ყველა მათგანი ამახვილებდა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მაღალსართულიან შენობაზე, სადაც ძლიერია ქარის სიმძლავრე და ტემპერატურის ვარდნა, მოსალოდნელია, რომ მოსაპირკეთებელი მასალის ჩამოვარდნა. ამასთანავე, ვერ მოხერხდა გარანტიების მიღება ფერის შენარჩუნებაზე.

ასეთი მოცემულობიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოგვეყენებინა მაღალი ხარისხის აგურის საიმიტაციო ტექნოლოგია, რისთვისაც შეიქმნა შესაბამისი ყალიბები და გამოყენებულ იქნა დაფერვის ისეთი ტექნოლოგია, რომელიც უქრუნველყოფს არაერთგვაროვნებას და ტონებში სხვაობის შექმნის შესაძლებლობას.

არსებული მდგომარეობით მთელი შენობა სწორედ ამ ტექნოლოგიითაა მოპირკეთებული, დამუშავებულია ყველა ღიობის კუთხე და შემკვრელი. ვიზუალურად ფაქტიურად შეუძლებელია დისტანციაზე გარჩევა მოპირკეთება აგურის ანათალია, კლინკერი თუ ზემოთ მითითებული იმიტაციის ტექნოლოგია.

აღსანიშნავია, რომ ამ ტექნოლოგიით ფასადის დამუშავება ფინანსური კუთხით უმნიშვნელოდ იაფია კლინკერის ან ანათალის გამოყენებასთან შედარებით, თუმცა მეტად მდგრადია და უსაფრთხო.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შენობა დასრულებულ მდგომარეობაშია, ჩვენ კი ვიაზრებთ, რომ პროექტიდან გადახვევა დასჯადია და საჭიროებს როგორც კორექტირებას, ისე ჯარიმის გადახდას. სრული ფასადის დემონტაჟი და კვლავ აგურის ანათალის ან კლინკერის გამოყენება ვერც უსაფრთოებას უზრუნველყოფს და ფაქტიურად შეუძლებელიცაა.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე გთხოვთ შეითანხმოთ პროექტი წარმოდგენილი სახით, ხოლო დამაჯერებლობისთვის შეგვიძლია ადგფილზე მოვახდინოთ ხარისხის დემონსტრაცია.


AluTech




AluTech

